

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2018	12/31/2017
აქტივები		ლარი
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	39,186	265,818
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	968,906	578,559
მარაგები	182,686	63,919
მოკლევადიანი აქტივები	1,190,778	908,295
არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	956,429	960,521
გრძელვადიანი აქტივები	956,429	960,521
სულ აქტივები	2,147,207	1,868,817

ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	342,574	76,057
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	24,196	14,405
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	208,184	40,367
მოკლევადიანი ვალდებულებები	574,954	130,829
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	574,954	130,829

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,572,253	1,737,987
სულ საკუთარი კაპიტალი	1,572,253	1,737,987
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,147,207	1,868,817

ბეჟან ბოჭორიშვილი (დირექტორი)
დარეჯან თხელიძე (მთ. ბუღალტერი)


/...../

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

	12/31/2018	12/31/2017
ამონაგები	3,735,995	4,138,121
თვითღირებულება	(2,347,536)	(2,849,753)
ხაერთო მოგება	1,388,459	1,288,368

სხვა შემოსავალი	4,711	19,608
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,109,193)	(308,631)
ცვეთა და ამორტიზაცია	(96,435)	(86,687)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(20,218)	-
ოჯარის ხარჯი	-	(5,979)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(313,408)	(317,095)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,534,543)	(698,784)

საოპერაციო მოგება	(146,084)	589,584
-------------------	-----------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(133)	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(19,517)	(85,911)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(19,650)	(85,911)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	(165,734)	503,673

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,737,987	1,524,314
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(290,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,572,253	1,737,987

ბეკან ბოჭორიშვილი (დირექტორი)
დარეჯან თხელიძე (მთ. ბუღალტერი)


/.....

/.....

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება
კომპანიის დასახელება: შპს "ერკერი"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 205143085

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: ბეჟან ბოჭორიშვილი

დამფუძნებლები:

60% - ბეჟან ბოჭორიშვილი

40%- დავით ბოჭორიშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „ერკერი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2006 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დილომი, ი.პეტრიწის ქ, კორპ. 5, ბ. 18

კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ს. დილომი

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად. კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 5%

ტექნიკა და ელ.მოწყობილობები 20%

ავტო და მოწყობილობა 20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

სასაქონლო-მატერიალურიფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება დამ ეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლებს გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო უთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2018	1/1/2017
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,764	265,332
საბანკო გარანტიები	402	486
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19	-
სულ	39,186	265,818

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

	12/31/2018	1/1/2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	963,906	573,559
გადახდილი ავანსები	5000	5000
სულ	968,906	578,559
შენიშვნა 5		
მარაგები		
	12/31/2018	1/1/2017
ნედლეული და მასალები	181,100	62,629
საწვავი	1,587	1,289
სულ	182,686	63,919

შენიშვნა 6

	მიწის ნაკვეთ ები	მანქანა- დანადგარ ები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	ავეჯი და მოწყობილ ობა	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	სხვა ძირით საშუალებ ები	ჯამი
ნაშთი: 2018 წლის 1 იანვარი	184,400	453,847	3,493	12,019	729,627	138,457	1,521,844
შემოსვლები		14,208		1,297	79,059		94,564
გადაფასება					(8,475)		(8,475)
გასხვისება, ჩამოწერა							
ნაშთი: 2018 წლის 31 დეკემბერი	184,400	468,055	3,493	13,316	800,212	138,457	1,607,933
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							0
ნაშთი: 2018 წლის 1 იანვარი		(145,922)	(1,699)	(3,238)	(403,989)	(6,474)	(561,323)
დარიცხვა წლის განმავლობაში		(53,541)	(359)	(1,973)	(35,383)	(5,179)	(96,435)
გასხვისება და ჩამოწერა					6,253		6,253
ნაშთი: 2018 წლის 31 დეკემბერი	0	(199,463)	(2,058)	(5,211)	(433,118)	(11,653)	(651,504)
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2018 წლის 1 იანვარი	184,400	307,925	1,794	8,781	325,638	131,983	960,521
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2018 წლის 31 დეკემბერი	184,400	268,592	1,435	8,105	367,093	126,804	956,429

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2018	1/1/2017
სავაჭრო ვალდებულებები	301,182	4302
მიღებული ავანსები	24,786	71,755
გადასახდელი ხელფასები	16,206	
სულ	342,174	76,057

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2018	1/1/2017
სხვა გადასახადი	1,264	(5,092)
დღგ	21,568	16,828
ქონების გადასახადი	1,364	2,669
სულ	24,196	14,405

შენიშვნა 9

მიმდინარე სასესხო
ვალდებულებები

	12/31/2018	1/1/2017
ვალდებულება საწაშოს პერსონალის წინაშე	4,341	26,567
სესხები	183,800.00	13,800.00
გადასახდელი პროცენტი	20,218	
სულ სესხები	208,359	40,367

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 10

ამონაგები

	12/31/2018	1/1/2017
რეალიზაცია 0%-იანი დღე-ით	10,000	
რეალიზაცია დღე-ის გარეშე	6,540	
გზების და ხიდების მშენებლობა	87,421	98,766.07
მასალის რეალიზაცია	27,833	39,142.99
მომსახურება	22,521	100,907.65
შენობების და სხვა ნაგებობების მშენებლობა (კაპ. შეკეთება)	3,581,681	3,899,303.83
სულ	3,735,995	4,138,121

შენიშვნა 11

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12/31/2018	1/1/2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	110	19,558
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,602	50.00
სულ	4,711	19,608

შენიშვნა 12

სხვა ხარჯები

	12/31/2018	1/1/2017
თვითღირებულება	2,347,536	2,849,753
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	22,466	34,878
შრომის ანაზღაურება	1,109,194	308,631
საწვავის ხარჯები	153,973	158,537
რემონტის ხარჯები	53,791	81,485
კომუნალური გადასახადები	11,958	2,107
საპროცენტო ხარჯები	20,218	
ცვეთა და ამორტიზაცია	96,435	86,687
სხვა ხარჯები	71,220	46,070
სულ	3,886,790	3,568,148

შენიშვნა 13

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12/31/2018	1/1/2017
პროექტების ფინანსური ხარჯი	19517	54301
უარყოფითი საკურსო სხვაობები	133	31610
სულ	19,650	85,911

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 1 სექტემბერს.

შპს "ერკერის" ფინანსური ანგარიშგება